მაკროეკონომიკური გარემოს ყოველთვიური ბიულეტენი

2016 წლის თებერვალი[1]

ანგარიშის შესახებ

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ,,საქართველოს მაკროეკონომიკური გარემოს ყოველთვიური ბიულეტენი" ასახავს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ტენდენციებს. მიმოხილვა ეყრდნობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებს.

2016 წელი

[1] ***შენიშვნა:*** ეკონომიკური მაჩვენებლების გამოქვეყნების ვადებიდან გამომდინარე ცალკეული ეკონომიკური მაჩვენებლები წარმოდგენილია საანგარიშოს წინა თვის მდგომარეობით.

რეალური და ფისკალური სექტორების ინდიკატორები

მთლიანი შიდა პროდუქტი

2016 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპმა 0.8% შეადგინა.
პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2016 წლის იანვარში რეალური მშპ-ის ტრენდის (რომელიც რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და ეკონომიკის განვითარების ტენდენციას უჩვენებს) ზრდის ტემპმა 1.1% შეადგინა.



დღგ-ის ბრუნვები

2016 წლის იანვარში ეკონომიკური აქტივობის ზრდაზე დადებითი გავლენა განსაკუთრებით ელ. ენერგიისა და წყლის წარმოება-განაწილებას (2.1%), აგრეთვე მშენებლობას (0.9%), კომუნალურ მომსახურებას (0.8%) და უძრავი ქონებით ოპერაციებს (0.7%) ჰქონდა. უარყოფითი გავლენა კი იქონიეს საფინანსო სექტორმა (-2.2%), ვაჭრობამ (-2.0%) და სხვა დარგებმა.



სამომხმარებლო ფასები

2016 წლის თებერვალში, წინა წლის თებერვალთან მიმართებით, ინფლაციის დონემ 5.6% შეადგინა და აღემატება მიზნობრივი ინფლაციის (5%) მაჩვენებელს.
2016 წლის იანვარში მშპ-ის წლიურმა დეფლატორმა 5.5% შეადგინა.



ნაერთი ბიუჯეტი

2016 წლის იანვარში ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები, წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 5.8%-ით ნაკლებია, ხოლო ხარჯები 18.6%-ით მეტი.
აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდო (მთავრობის დანაზოგები) -21 მლნ ლარით, ხოლო მთლიანი სალდო ასევე -21 მლნ ლარით განისაზღვრა.



საგარეო სექტორის ინდიკატორები

საგარეო ვაჭრობა

2016 წლის იანვარში ექსპორტი 22%-ით, ხოლო იმპორტი 25%-ით შემცირდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. შედეგად, საგარეო სავაჭრო ბრუნვა 24%-ით შემცირდა.

ამავე პერიოდში მცირედით გაუმჯობესდა ექსპორტის წილის მაჩვენებელი საგარეო ვაჭრობის მთლიან მოცულობაში და 23% შეადგინა. 2015 წლის იანვარში აღნიშნული მაჩვენებელი 22%-ს უტოლდებოდა.



ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები

2016 წლის იანვარში, წინა წლის იანვართან შედარებით, საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირთან 25%-ით შემცირდა, აქედან ექსპორტმა 38%-ით, ხოლო იმპორტმა 18%-ით მოიკლო. დსთ-ის წევრ ქვეყნებთან საქონელბრუნვა 19%-ით ნაკლები იყო. მათ შორის, ექსპორტი 46%-ით, ხოლო იმპორტი 9%-ით შემცირდა.

საქონელბრუნვის მიხედვით, 2016 წლის იანვარში ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს წარმოადგენდნენ: თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, ჩინეთი, გერმანია.



ფულადი გზავნილები

2016 წლის იანვარში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, ფულადი გზავნილები 12%-ით შემცირდა და 67 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. წინა წლის იანვართან შედარებით, 2016 წლის იანვარში გზავნილების კლება დაფიქსირდა ძირითადად უკრაინიდან (38%-ით), საბერძნეთიდან (35%-ით), რუსეთიდან (23%-ით) და თურქეთიდან (11%-ით). გზავნილების მოცულობა გაიზარდა ისრაელიდან (65%-ით), აშშ-დან (15%-ით), გერმანიიდან (9%-ით) და სხვა ქვეყნებიდან.



მთლიანი საერთაშორისო რეზერვები

2016 წლის თებერვალში მთლიანი საერთაშორისო რეზერვების მოცულობამ 2,426 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან მიმართებით 0.9%-ით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.8%-ით ნაკლებია. მთლიანი საერთაშორისო რეზერვების შემცირება 2013 წლის ბოლოდან აღინიშნება, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ლარის კურსზე ზემოქმედების მიზნით სავალუტო ბაზარზე რეზერვების გაყიდვით და ეროვნული ბანკისა და სამთავრობო დავალიანებების დაფარვით.



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით



იმპორტი ქვეყნების მიხედვით



ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით



იმპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით



მონეტარული სექტორის ინდიკატორები

მონეტარული აგრეგატები

2016 წლის იანვარში, 2015 წლის იანვართან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა 17.3%-ით გაიზარდა, ფულის M2 აგრეგატი 2.0%-ით შემცირდა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპმა 17.6% შეადგინა.

2016 წლის იანვრის მდგომარეობით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 5.6% შეადგინა.



დეპოზიტები და დოლარიზაცია

2016 წლის იანვარში, წინა თვესთან მიმართებით, უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 2.5%-ით გაიზარდა, ხოლო ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 5.4%-ით შემცირდა.

2016 წლის იანვარში დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი, წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, 7.6%-ული პუნქტით გაიზარდა და 68.5%-ით განისაზღვრა. ამავე პერიოდისათვის იურიდიული პირების დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელმა 63.8%, ხოლო ფიზიკური პირების - 81.5% შეადგინა.

საპროცენტო განაკვეთის სპრედი

2016 წლის იანვარში, წინა თვესთან მიმართებით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებზე 1.5%-ული პუნქტით გაიზარდა და 16.8%-ით განისაზღვრა, ხოლო დეპოზიტებზე უცვლელი დარჩა (5.2%).

სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის სპრედს, რომელმაც 2016 წლის იანვარში 11.6% შეადგინა. ამასთან, წინა წლის იანვარში აღნიშნული მაჩვენებელი 9.2%-ს შეადგენდა.



გაცვლითი კურსი

2016 წლის თებერვლის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის და ევროს მიმართ შესაბამისად, 1.9%-ით და 4.0%-ით გაუფასურდა. ამავე პერიოდში გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც.

რაც შეეხება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, 2016 წლის თებერვალში, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ გაუფასურების ტენდენციას ავლენს, შესაბამისად 15.9% და 14.0%-ით.